ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

სამეცნიერო კონფერენცია

„ლიტერატურული კონცეპტები და სხვა...“

ეძღვნება ლაურა გრიგოლაშვილის, რევაზ სირაძისა და
გრივერ ფარულავას დაბადებიდან 90 წლის იუბილეს

SCIENTIFIC CONFERENCE

“Literary Concepts and More...”

Dedicated to the 90th Anniversary of the Birth of
Laura Grigolashvili, Revaz Siradze and Griver Parulava

პროგრამა/თეზისები

PROGRAM/ABSTRACT

მაისი 8 May

თბილისი 2026 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

სამეცნიერო კონფერენცია

„ლიტერატურული კონცეპტები და სხვა...“

ეძღვნება ლაურა გრიგოლაშვილის, რევაზ სირაძისა და
გრივერ ფარულავას დაბადებიდან 90 წლის იუბილეს

SCIENTIFIC CONFERENCE

“Literary Concepts and More...”

Dedicated to the 90th Anniversary of the Birth of
Laura Grigolashvili, Revaz Siradze and Griver Parulava

პროგრამა/თეზისები
PROGRAM/ABSTRACTS

მაისი 8 May
თბილისი 2026 Tbilisi

საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
ეკატერინე ნავროზაშვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი
მაია გურაბანიძე – თსუ მუზეუმის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
მანანა ლილუაშვილი – თსუ მუზეუმების საგანმანათლებლო პროგრამებისა და დროებითი გამოფენების კურატორი, ისტორიის დოქტორი
ნათია დვალი – უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორის მოადგილე
ნანა კაჭაბავა – უნივერსიტეტის გამომცემლობის წამყვანი სპეციალისტი

Organizing Committee:

Darejan Tvaltvadze – Dean of the Faculty of Humanities, Professor
Ekaterine Navrozashvili – Head of the Scientific Research and Development Service of the Faculty of Humanities, Associate Professor
Maia Gurabanidze – Director of TSU Museum, Doctor of Art History
Manana Liluashvili – Curator of Educational Programs and Temporary Exhibitions at TSU Museums, Doctor of History
Natia Dvali – Deputy Director of TSU Press
Nana Katchabava – Leading Specialist of TSU Press

რეგლამენტი:
მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი
დისკუსია – 5 წუთი
სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:
Presentation at the meeting – 15 minutes
Discussion – 5 minutes
Working language – Georgian

10.30 – 11.00

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია
Registration of the Conference Participants

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, II სართული, ოთახი 202
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Room 202

11.00

გამოფენის გახსნა/Opening of the Exhibition

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, II სართული, ოთახი 202
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Room 202

11.15 – 12.00

კონფერენციის გახსნა/Opening of the Conference

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, II სართული, ოთახი 202
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Room 202

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

Professor Darejan Tvaltvadze
Dean of TSU Faculty of Humanities

მისალმებები
Greetings

12.00 – 12.30
შესვენება/Break

12.30 – 15.30

სხდომა I Session

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, II სართული, ოთახი 202
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Room 202

სხდომის თავმჯდომარე – ნანა გონჯილაშვილი
Chairperson – Nana Gonjilashvili

ნანა გონჯილაშვილი/Nana Gonjilashvili

ლაურა გრიგოლაშვილის მონოგრაფიის - ლიტერატურული კონცეპტები და სხვა - მიმოხილვა

Review of Laura Grigolashvili's Monograph "Literary Concepts and Others"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ლელა ხაჩიძე/Lela Khachidze

საეტაპო ნაშრომი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის" კვლევაში

A Landmark Work in the Study of David the Builder's "The Hymns of Repentance"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეკა ჩიკვაიძე/Eka Chikvaidze

გრივერ ფარულავა და ძველი ქართული პროზის ესთეტიკური რეაბილიტაცია

Griver Parulava and the Aesthetic Rehabilitation of Old Georgian Prose

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, კავკასიის უნივერსიტეტი/TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Caucasus University

ქეთევან სირაძე/Ketevan Siradze

„წმინდა ნინოს ცხოვრება", როგორც უძველესი ქართული ნაწარმოები

"The Life of Saint Nino" as the Earliest Georgian Literary Work

კავკასიის უნივერსიტეტი/Caucasus University

ია გრიგალაშვილი/Ia Grigalashvili

ოთხის სიმბოლიკის განმარტებისათვის ქართულ ფოლკლორსა და „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში"

For the Explanation of the Number Four in Georgian Folklore and "The Life of Saint Grigol of Khandzta"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო პოპიაშვილი/Nino Popiashvili

პროზელიტი პერსონაჟების პერსონიფიცირების საკითხისათვის უცნობი ავტორის "ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა" და იოანე საბანისძის "აბო თბილელის წამების" მიხედვით

On the Personification of Proselyte Characters in the Unknown Author's The Martyrdom of Eustathius of Mtskheta and Ioane Sabanisdze's The Martyrdom of Abo of Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თამარ შარაბიძე/Tamar Sharabidze

მიტევებისა და მტრის სიყვარულის მოტივი ქართულ ლიტერატურაში

Review of Laura Grigolashvili's Monograph – Literary Concepts and More

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

15.30 – 16.00
შესვენება/Break

16.00 – 19.00

სხდომა II Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., N1, თსუ-ს I კორპუსი, ოთახი 202
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 202

სხდომის თავმჯდომარე – ცირა ბარამიძე
Chairperson – Tsira Baramidze

ცირა ბარამიძე/Tsira Baramidze

კავკასიის სივრცისა და ეთნიკური სამყაროს ლიტერატურული კონცეპტუალიზაცია ქართულ ჰაგიოგრაფიაში

The Literary Conceptualization of the Caucasian Space and the Ethnic World in Georgian Hagiography

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თამარ ავდალიანი /Tamar Avdaliani
სინანულის სათნოების გამოვლენა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით
Manifestation of the Virtue of Repentance According to “The Life of Grigol Khandzteli”
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ქეთევან მამასახლისი/Ketevan Mamasakhlisi
კლდის ძეგლები საქართველოში და ვაჰანის ქვაბთა განგება
Rock Monuments in Georgia and the Typicon of the Vahani Caves
თბილისის სასულიერო აკადემია/Tbilisi Theological Academy

ხათუნა ნიშნიანიძე/Khatuna Nishnianidze
ერთი ბიბლიური პარადიგმა და ეროვნული იდენტობის საკითხი შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში: კოლექტიური მეხსიერების კონცეფციის ჭრილში
The Biblical Paradigm and the Question of National Identity in Medieval Georgian Literature: In the Context of the Concept of Collective Memory
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია/Tbilisi Theological Academy and Seminary

ელენე გოგიაშვილი/Elene Gogiashvili
„სმენად მხეცნი მოვიდიან“: შუა საუკუნეების ლიტერატურული ექო ხალხურ ზღაპარში
“When Animals Listen”: Literary Echoes in Folktales from Medieval Romance
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეკა ვარდოშვილი/Eka Vardoshvili
ილია ჭავჭავაძის წერილი „წმინდა ნინო“
Ilia Chavchavadze’s Letter “Saint Nino’’
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ანა ლეთოდიანი/Ana Letodiani
ლიმინალობის თეორია და პერსონაჟის ტრანსფორმაცია (ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით)
Theory of Liminality and Character Transformation (Based on the Epic Poems of Vazha-Pshavela)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თეზისები/ABSTRACTS

თამარ ავდალიანი
Tamar Avdaliani

სინანულის სათნოების გამოვლენა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით
Manifestation of the Virtue of Repentance According to “The Life of Grigol Khandzteli”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სინანული, ცოდვა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“
Keywords: regret, sin, “The Life of Grigol Khandzteli”

ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს სინანულის გამოვლენის პასაჟები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მრავალმხრივაა შესწავლილი როგორც ისტორიულ-ფილოლოგიური, ისე - მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, თუმცა, კვლავაც არაერთი საკითხია განსახილველი. წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთი ასეთი საკითხის კვლევას ისახავს მიზნად, კერძოდ, სინანულის სათნოების წარმოჩენა-გამოვლენას „ცხოვრებაში“.

როგორ და რა სახით ვლინდება სინანული? რა როლს ასრულებს სინანული წმინდანის ცხოვრებაში? - ეს ის კითხვებია, რომლის გარშემოც იქნება ნაშრომში მსჯელობა. სინანულის სათნოება უმნიშვნელოვანესია, რაც ტექსტითაც დასტურდება. ძეგლში სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი სინანული, იქნება ეს ცრემლი, ტირილი თუ ესა თუ ის მზაობა-განწყობა და მისი აღძვრის მოტივები. სინანული დასტურდება როგორც წმინდანთან, ასევე მეორე რიგის პერსონაჟებთან, მათ შორის უარყოფითთანაც.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სინანული - ესაა გზა, რომელიც ყველა მოწაფემ უნდა გაიაროს, რათა ემსგავსოს თავის მოძღვარს სათნოებათა თავჩენითა და მოღვაწეობით უფლის წინაშე. გიორგი მერჩულე გვიჩვენებს, რომ სინანული არ არის მხოლოდ ადამიანის ემოციური მდგომარეობა, არამედ ესაა გონების ცვლილება, ადამიანის სულიერი ფერისცვალება. ტექსტში ხაზგასმულია, რომ სინანული მხოლოდ სიტყვით არ გამოიხატება, არამედ ესაა ცრემლითა და გოდებით, თავმდაბლობა-მორჩილებით, ლოცვით, ამა თუ ქმედებით წარმოჩენილი. სინანულს გულწრფელობა სჭირდება, რაც ახასიათებთ ქრისტეფორესა და თეოდორეს, რასაც ისინი სიტყვით კი არა, ქმედებით („შეუვრდნეს“) გამოხატავენ. თხზულებაში მოწაფეების სინანულის ვხედავთ, როდესაც ისინი ავლენენ პატივმოყვარეობა-ურჩობასა და გულზვაობას საკუთარი სულიერი მამის წინაშე. ამის კარგი მაგალითია ეფრემ მაწყვერელის სინანული ჯავახეთის კრებაზე.

„ცხოვრებაში“ წმინდა მამებს მუდამ უწევთ ვნებებთან სათნოებების დაპირისპირება. გრიგოლ ხანძთელი უკომპრომისოა ყოველგვარი ბიწიერების მიმართ - „არავის უდებთაგან შეიწყნარებდა“ და „ბრალეულთა სინანულად მოაქცევდა“. წმინდანის ერთ-ერთ თვისებათაგან ჰაგიოგრაფი სწორედ იმას გამოარჩევს, რომ მას ხელეწიფება ცოდვისმოქმედთა სულში სინანულის აღძვრა.

ყოველგვარი ცოდვა მთელი ცხოვრება თან სდევს ადამიანს, ხოლო ამ ვნებათაგან გათავისუფლებისათვის ზოგჯერ ღვთაებრივი ძალმოსილების ჩვენებაა საჭირო. გრიგოლ ხანძთელი ცოდვასთან მებრძოლი და ცოდვათა მიმტევებელი „კლარჯეთის მეუდაბნოეთა“

ჭეშმარიტი მოძღვარია, რაც კარგად ჩანს თხზულების არაერთ ეპიზოდში, კერძოდ, ანჩელი ერისკაცის სულიერი კათარზისის ამსახველი სურათში, ამოტ კურაპალატის „სიძვის დიაცის“ სულიერ ფერისცვალებაში.

ქრისტიანი ადამიანი ისწრაფვის ნათლის სამოსლის შემოსვისაკენ, რაც სინანულის გრძნობის გარეშე შეუძლებელია. მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია საღვთისმეტყველო თხზულებები, წმინდა მამათა ნაზრევი და სამეცნიერო ლიტერატურა, აგრეთვე, გამოკვეთილია სინანულის სათნოების გამოვლენის შემთხვევები და მასთან დაკავშირებული სპეციფიკა.

The objective of this work is to present passages illustrating the manifestation of repentance in “The Life of Grigol Khandzteli”. Despite the fact that it has been extensively studied from historical, philological, artistic, and aesthetic perspectives, numerous issues remain to be explored. The present study aims to investigate one such matter: the representation and manifestation of the virtue of repentance within the “Life”.

In “The Life of Grigol Khandzteli”, repentance is the path that every disciple must traverse to resemble their master through the manifestation of virtues and labor before the Lord. Giorgi Merchule demonstrates that repentance is not merely an emotional state of a human being but a change of mind (metanoia) and a spiritual transfiguration. The text emphasizes that repentance is expressed not only in words but is manifested through tears and lamentation, humility and obedience, prayer, and specific actions. Repentance requires sincerity, a quality characteristic of Christopher and Theodore, who express it not through speech but through action (by “falling down before him”). We see the repentance of the disciples when they display vanity, disobedience, and pride before their spiritual father. A prime example of this is the repentance of Ephrem of Atsquri at the Council of Javakheti.

In the “Life”, the holy fathers constantly have to pit virtues against passions. Grigol Khandzteli is uncompromising toward any form of vice – he “would not accept any of the negligent” and “would turn the guilty toward repentance”. The hagiographer singles out as one of the saint’s key attributes his ability to awaken repentance in the souls of sinners.

Every sin accompanies a person throughout their life, and to be liberated from these passions, the manifestation of divine power is sometimes necessary. Grigol Khandzteli is a true mentor to the “Hermits of Klarjeti”, a fighter against sin and a forgiver of transgressions. This is clearly seen in several episodes of the work, specifically in the scene depicting the spiritual catharsis of the layman from Ancha and the spiritual transfiguration of Ashot Kurapalat’s “woman of fornication”.

A Christian strives to don the “garment of light”, which is impossible without the feeling of repentance. Based on this goal, the paper examines theological works, the thoughts of the Holy Fathers, and scholarly literature. Furthermore, it highlights specific instances of the manifestation of the virtue of repentance and its associated characteristics.

ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

კავკასიის სივრცისა და ეთნიკური სამყაროს ლიტერატურული კონცეპტუალიზაცია ქართულ ჰაგიოგრაფიაში
The Literary Conceptualization of the Caucasian Space and the Ethnic World in Georgian Hagiography

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ჰაგიოგრაფია, კავკასია, ეთნიკური სამყარო, ლიტერატურული კონცეპტუალიზაცია
Keywords: Georgian hagiography, the Caucasus, the ethnic world, literary conceptualization

მოხსენებაში განხილულია ქართულ ჰაგიოგრაფიაში კავკასიის რეგიონისა და ხალხების ასახვის ლიტერატურული კონცეპტები. ქართულ ჰაგიოგრაფიაში კავკასიის რეგიონისა და ხალხების ასახვის ლიტერატურული კონცეპტების კვლევა ხორციელდება ლიტერატურათმცოდნეობითი, კულტუროლოგიური, დისკურსული, იმაგოლოგიური, კონცეპტოლოგიური და ნაწილობრივ ისტორიულ-ფილოლოგიური მეთოდოლოგიით. ჰაგიოგრაფია მხოლოდ რელიგიური ტექსტი არ არის; იგი ერთდროულად ქმნის: სივრცის წარმოდგენას, „საკუთარის“ და „სხვის“ მოდელებს, ეთნიკურ და რელიგიურ საზღვრებს, სიწმინდის გეოგრაფიას, ისტორიულ-კულტურულ თვითაღქმას. კვლევაში გამოკვეთილია არა მხოლოდ ის, თუ ვინ არიან კავკასიის ხალხები ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში, არამედ როგორ არიან ისინი კონცეპტუალიზებულნი. კვლევის მიმართულებებია:

1. სივრცის კონცეპტი, თუ როგორ წარმოჩნდება კავკასია: როგორც წმინდა სივრცე, როგორც საზღვარი, როგორც ბრძოლის/მოწამეობის არეალი, როგორც ქრისტიანული იდენტობის დაცვის ზონა;

2. ეთნიკური და რელიგიური სხვაობის კონცეპტი, თუ როგორ არიან აღწერილი სხვადასხვა ხალხი: მოკავშირეებად, უცხოებად, მტრებად, მოქცევის ობიექტებად, ქრისტიანული სამყაროს ნაწილად, ან მის გარეთ მდგომ ძალებად;

3. პოლიტიკური და სიმბოლური გეოგრაფია - როგორ ნაწილდება ტექსტში ცენტრი და პერიფერია; რომელი რეგიონებია წარმოდგენილი როგორც ძალის, რწმენის, საფრთხის, ან გამოცდის ადგილები;

4. ლიტერატურული მოდელები და ნარატიული სტრატეგიები - როგორ იქმნება ხალხებისა და რეგიონების სახე: ეპითეტებით, ოპოზიციებით, სტერეოტიპული მახასიათებლებით, სიმბოლური ფუნქციებით, წმინდანის ცხოვრების ნარატივში მათი როლით;

5. კონცეპტები „საკუთარი“/„სხვა“ - ეს განსაკუთრებით ძლიერი ოპოზიციაა, ჰაგიოგრაფიაში ხშირად იკვეთება: ქრისტიანი/არაქრისტიანი, ქართველი/უცხო, სიწმინდე/ურჯულოება, ერთგულება/ღალატი, სულიერი სივრცე /საფრთხის სივრცე.

ჰაგიოგრაფიული ტექსტები განხილულულია არა როგორც პირდაპირი ისტორიული წყარო, არამედ როგორც ლიტერატურულ-იდეოლოგიური კონსტრუქცია. ანუ ისმის კითხვა - ტექსტი როგორ ქმნის კავკასიისა და მისი ხალხების სახეს, რა მიზნით, რა ღირებულებითი სისტემით და რა რიტორიკული საშუალებებით. კვლევის ობი-

ექტად აღებულია „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, „წამებაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, „აბო ტფილელის წამებაჲ“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სხვა ჰაგიოგრაფიული ძეგლები, სადაც სივრცობრივი, ეთნიკური და სარწმუნოებრივი ნიშნები მკვეთრად იკვეთება. კვლევაში გამოყენებულია მეთოდოლოგია: კონცეპტუალური, იმაგოლოგიური, დისკურსული, ნარატოლოგიური ანალიზი, ასევე ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და კულტურულ-სემიოტიკური მიდგომა. ქართულ ჰაგიოგრაფიაში კავკასიის რეგიონისა და ხალხების ასახვის ლიტერატურული კონცეპტები საჭიროებს შემდგომ სიღრმისეულ შესწავლას.

The paper examines the literary concepts through which the Caucasian region and its peoples are represented in Georgian hagiography. The study of the literary conceptualization of the Caucasus and its ethnic world in Georgian hagiographic texts is conducted through literary-theoretical, cultural, discursive, imagological, conceptological, and, in part, historical-philological methodologies. Hagiography is not merely a religious text; rather, it simultaneously constructs perceptions of space, models of the “self” and the “other,” ethnic and religious boundaries, a geography of sanctity, and forms of historical-cultural self-understanding.

The study identifies not only who the peoples of the Caucasus are within hagiographic texts, but also how they are conceptualized. Its principal areas of inquiry include:

1. The concept of space – how the Caucasus is represented: as a sacred space, as a borderland, as an arena of struggle and martyrdom, and as a zone for the defense of Christian identity;

2. The concept of ethnic and religious difference – how various peoples are described: as allies, foreigners, enemies, objects of conversion, parts of the Christian world, or forces standing outside it;

3. Political and symbolic geography – how center and periphery are distributed within the text, and which regions are represented as sites of power, faith, danger, or trial;

4. Literary models and narrative strategies – how the image of peoples and regions is constructed through epithets, oppositions, stereotypical features, symbolic functions, and their roles within the saint’s life narrative;

5. The concepts of the “self” and the “other” – a particularly powerful opposition, frequently articulated in hagiography through such binaries as Christian/non-Christian, Georgian/foreign, sanctity/impiety, loyalty/treachery, and spiritual space/space of danger.

The hagiographic texts are considered not as direct historical sources, but as literary-ideological constructions. In other words, the central question is how the text creates the image of the Caucasus and its peoples, for what purpose, within what system of values, and by what rhetorical means. The objects of analysis include The Martyrdom of Saint Shushanik, The Martyrdom of Eustathius of Mtskheta, The Martyrdom of Abo of Tbilisi, The Life of Grigol Khandzteli, and other hagiographic monuments in which spatial, ethnic, and confessional markers are especially pronounced.

The research employs conceptual, imagological, discursive, and narratological analysis, as well as the historical-comparative method and a cultural-semiotic approach. The literary concepts through which the Caucasian region and its peoples are represented in Georgian hagiography require further in-depth study.

ელენე გოგიაშვილი
Elene Gogiashvili

„სმენად მხეცნი მოვიდიან“: შუა საუკუნეების ლიტერატურული ექო ხალხურ ზღაპარში

“When Animals Listen”: Literary Echoes in Folktales from Medieval Romance

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ზღაპარი, ლიტერატურული გავლენა, მუსიკა, სიყვარული, ცხოველები
Keywords: folktale, literary influence, music, love, animals

ზეპირსიტყვიერი გადმოცემების მიხედვით, მუსიკა ხშირად განსაზღვრავს გმირის ბედს, მედიუმია სიყვარულსა და ბედისწერას შორის. მოხსენების თემაა მუსიკა ლიტერატურულ და ფოლკლორულ დისკურსში. კვლევის ობიექტია ქართული და აღმოსავლეთევროპული ხალხური ზღაპრები, რომლებშიც შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციის გავლენა იგრძნობა.

მუსიკა არის მაგიური ძალაც და სოციალური ინსტრუმენტიც. მუსიკა ყველა იარაღზე ძლიერია მიზნის მისაღწევად. ქართულ ზღაპარში ახალგაზრდა ღარიბი მეჩონგურე ხელმწიფის ასულის მოსაპოვებლად უკვდავების ვაშლის ხის საძებნელად მიდის. ის, რაც ვერავინ შეძლო, მიაღწევს მეჩონგურე. მისი სიმღერით მოხიბლულნი, ჩიტებიც კი დადუმდებიან, კლდე გაიხსნება და გველეშაპი ცრემლად დაიღვრება. ზღაპრის დასაწყისში მუსიკა პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობის გამომხატველია, ბოლოს კი შიშსა და სიკვდილს ამარცხებს. ასეა აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ფოლკლორშიც: გმირის ჯადოსნური საკრავი, ხშირად ფლეიტა, მთებსა და ტყეებს აცოცხლებს, ნადირ-ფრინველები სულგანაბული უსმენენ. მუსიკით გამოხატულია გმირის ერთიანობა სამყაროსთან, კოსმიური და ადამიანური ბუნების შერწყმა.

მოხსენებაში განხილულია ის ფოლკლორული მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია შუა საუკუნეების სამიჯნურო რომანებთან. ფოლკლორულ ტექსტებშიც და ლიტერატურულ ნაწარმოებებში მუსიკა, პოეზია, ჰეროიზმი, სიყვარული და მორალური გამოცდა განსაზღვრავენ ნარატიულ სტრუქტურას. ქართულ და აღმოსავლეთევროპულ თხრობით ტრადიციაში მუსიკალურ თემატიკას ზღაპრებში სოციალური წესრიგი შემოაქვს, აღწერს რა მუსიკის ზებუნებრივ ძალას. მუსიკა ორმაგ დატვირთვას ასრულებს: ის არის მაგიური ძალაც და სოციალური ინსტრუმენტიც სიყვარულის მოსაპოვებლად ფოლკლორის პოეტურ სამყაროში.

In folklore, music often serves as a conduit between love and destiny, shaping the hero's journey and determining the resolution of narrative conflicts. This paper explores how musical motifs function as both emotional expression and a transformative force in Georgian and broader Eastern European folktales, tracing their origins back to the literary and cultural traditions of medieval romances.

In these tales, music starts as an individual expression of longing, devotion or desire, and at pivotal moments it becomes a magical power capable of overcoming

fear, death or supernatural obstacles. In the Georgian folktale, a poor musician falls in love with a princess whose hand is promised only to the suitor who brings the apple of immortality. While noble warriors fail, the musician succeeds: his song silences the birds, moves stones and softens the demon guarding the miraculous tree. Moved by the mournful melody, the demon willingly grants the apple, demonstrating music's power to transform both the human and the cosmic realms. Similar patterns emerge across Eastern European folklore, where the hero's magical instrument – often a flute – animates forests, summons animals, and signals the hero's destiny, situating music within a mythological and sacred framework.

This paper argues that such folkloric motifs are shaped by the enduring influence of medieval romances, in which music, poetry and courtly devotion structure narratives of heroism, love and moral testing. Georgian and Eastern European storytellers have adapted these literary devices for use in their oral traditions, incorporating music into the social, emotional and supernatural fabric of their tales. Examining these interconnections highlights music's dual role as a magical force and a socially coded instrument of love. This illuminates the dynamic interplay between medieval literary culture and the imaginative world of folklore.

ნანა გონჯილაშვილი
Nana Gonjilashvili

ლაურა გრიგოლაშვილის მონოგრაფიის - „ლიტერატურული კონცეპტები და სხვა“ - მიმოხილვა
Review of Laura Grigolashvili's Monograph "Literary Concepts and Others"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ლაურა გრიგოლაშვილი, მონოგრაფია, ლიტერატურა, კონცეპტები
Keywords: Laura Grigolashvili, monograph, literature, concepts

ლაურა გრიგოლაშვილის მონოგრაფია შედგება ექვსი თავისაგან. წიგნს უძღვის ავტორის წინათქმა, ერთვის დამოწმებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. მონოგრაფიაში თავმოყრილია ქ-ნი ლაურას მთელი ცხოვრების ნაფიქრი და ნაღვაწი. ნაშრომები, ნარკვევები და წერილები თემატურადაა დალაგებული, განხილულია ქართული მწერლობის უაღრესად მნიშვნელოვანი თემები, ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემატიკა (შუასაუკუნეების, რენესანსის, განმანათლებლობის, ბაროკოს, რომანტიზმის, მოდერნიზმის და სხვ.). ქ-ნი ლაურა წიგნს თავის სტუდენტებს უძღვნის.

მონოგრაფია იწყება ქ-ნი ლაურას წინათქმით, რომელიც უნივერსიტეტის 100 წლისთავის იუბილეს უკავშირდება. აქ იკვეთება უმთავრესი სათქმელი, რომ უნივერსუმის შესაცნობად არჩეულ ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგს ადამიანი „დასაბამიერ ერთთან“ მიჰყავს.

მონოგრაფიის პირველი თავი ეთმობა ქ-ნ ლაურას ჟურნალიტებთან ინტერვიუებს სხვადასხვა საკითხზე (რელიგიასა და მეცნიერებაზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდიკაზე და სხვ.). აქ წარმოჩინდება ქ-ნი ლაურას მორალურ-ეთიკური პრინციპები, სიბრძნე და გამოცდილება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ამ თავს უკავშირდება მონოგრაფიის მეხუთე თავი, რომელშიც წარმოჩენილია მეცნიერების როლი და მნიშვნელობა სასკოლო სწავლების პროცესში, რაც მეტად აქტუალურია და საყურადღებო მოსაზრებათა შემცველი.

მონოგრაფიის მეორე თავი მოიცავს ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის თხზულებების საზრისისა და მნიშვნელობის წარმოჩენა-გააზრებას, მწერალთა მსოფლმხედველობას, მათი შემოქმედების მიზანსა და დანიშნულებას, მათს „ხელოვანებას“. აღნიშნული თავი იწყება ბიბლიით და სრულდება „დავითიანით“.

მონოგრაფიის მესამე და მეექვსე თავებში თავმოყრილია ქ-ნ ლაურას მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი წერილები და მოგონებები, რომლებიც უნივერსიტეტს, ქართული კულტურის ღვაწლმოსილ მეცნიერ-მკვლევრებსა და საზოგადო მოღვაწეებს ეძღვნებათ (კ. კეკელიძეს ს. გორგაძეს, ლ. მენაბდეს, გ. კიკნაძეს, რ. სირაძეს, ვ. როდონაიას და სხვ.).

მონოგრაფიის მეოთხე თავი ეთმობა XIX ს-ის ქართველ შემოქმედთა (რომანტიკოსთა, ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის) ესთეტიკური იდეალების განხილვას, ცალკეულ თხზულებათა ლიტერატურულ-მხატვრულ ანალიზს.

ქ-ნი ლაურა ქართული ლიტერატურის ურთულეს საკითხებს მოგვაწოდებს მარტივი და დახვეწილი ენით, რომელიც სრულიად დაცლილია იმპერატიული ტონისაგან; პრობლემათა მრავალგანზომილებიან ხედვას სიბრძნისა და მშვენიერების სიყვარული წარმართავს.

მონოგრაფია წარმომაჩენელია არა მხოლოდ ქ-ნი ლაურას აზროვნების წესისა და სულიერი სამყაროსი, არამედ – ქართული ქრისტიანული კულტურის სიღრმეთა ჭეშმარიტი წვდომისა, ჰუმანიტარული მეცნიერების აზრთწყობისა, კულტურისა და ენისა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ეს მონოგრაფია კვლევა-ძიებათა ნიმუშია, მომავალი თაობისათვის გზის დამსახავი, მკითხველის დუმილთან – „რჩეულ ოქროსთან“, ბრძნად მეტყველებით – „წმინდა ვერცხლით“, მიმაახლებელი.

Laura Grigolashvili's monograph consists of six chapters. The volume is preceded by the author's preface and is supplemented with referenced literature and bibliographical notes. The monograph brings together the intellectual reflections and scholarly contributions accumulated over the course of the author's life. The works, essays, and articles are thematically organized and address some of the most significant issues in Georgian literature, as well as key problems in literary studies.

The monograph opens with a preface by the author, connected to the centennial anniversary of the university. It articulates a central idea: that all branches of art and science, chosen as means for understanding the universe, ultimately lead the human being to the First Cause.

The first chapter is devoted to interviews conducted with the author conducted by journalists on various topics, including religion and science, as well as traditional and modern methodologies in the education of young learners. This section reveals the author's moral and ethical principles, wisdom, experience, and sense of civic responsibility. It is conceptually linked to the fifth chapter, which highlights the role and significance of science in the process of school education, offering particularly relevant and thought-provoking insights.

The second chapter encompasses an analysis and interpretation of the meaning and significance of works from different periods and genres of Old Georgian literature. It explores the worldview of the authors, the purpose and function of their ouvre, and their artistic mastery. The chapter begins with the Bible and concludes with "Davitiani".

The third and sixth chapters comprise essays and memoirs written by the author at various times, dedicated to the university, distinguished scholars of Georgian culture, and prominent public figures (including K. Kekelidze, S. Gorgadze, L. Menabde, G. Kiknadze, R. Siradze, V. Rodonaia, and others).

The fourth chapter of the monograph is devoted to an exploration of the aesthetic ideals of 19th-century Georgian writers – namely the Romanticists, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela, and Galaktion Tabidze – and provides literary and artistic analysis of their individual works.

The author presents some of the most complex issues of Georgian literature in a clear and refined language, entirely free from an imperative tone. Her multidimensional approach to problems is guided by a profound love of wisdom and beauty. The monograph is noteworthy not only for reflecting the author's intellectual style and spiritual world, but also for demonstrating a deep understanding of Georgian Christian culture, as well as the intellectual traditions of the humanities, culture, and language.

ია გრიგალაშვილი
Ia Grigalashvili

ოთხის სიმბოლიკის განმარტებისათვის ქართულ ფოლკლორსა და „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“
For the Explanation of the Number Four in Georgian Folklore and “The Life of Saint Grigol of Khandzta”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ოთხის სიმბოლიკა, ქართულ ფოლკლორი, „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“
Keywords: explanation of the number four, Georgian folklore, “The Life of Saint Grigol of Khandzta”

რიცხვთა სიმბოლიკას ბევრი ხალხის ეთნიკულტურულ ყოფაში აქვს გამოძახილი, მათ შორის - ქართულშიც.

ალექსანდრე ოჩიაურის მიერ ჩაწერილი თქმულების მიხედვით, პირქუშს ბევრი ცხვარი ჰყოლია ადრე, მაგრამ დევები შურით ნერბებს ურევდნენ. დევების ცხვრის ჯიშში სულ ოთხრქა ჭდილები გამოსულან, რომლებიც რქებით კლდეებზე ისროდნენ პირქუშის ცხვარს.

სოფელ ჟებოტის მცხოვრები დავით დოლიაშვილის ნაამბობის მიხედვით, კოპალასა და იახსარს ერთი დევი პირქუშისათვის ყმად მიუციათ, სახლი ააშენებინა პირქუშმა, ხის მასალა აზიდინა, გაბრაზდა დევი და ახადის მთასთან რომ ტბა არის, იქ ჩავარდა. პირქუშმა დაუძახა საშველად იახსარს, რომელმაც ისარი ესროლა თვალში და ტბა სისხლით აივსო. ვეღარ ამოდიოდა იახსარი, მაშინ შეწირეს ოთხრქა და ოთხყურა ცხვარი და იახსარი გაათავისუფლეს.

რიცხვი ოთხი სიმბოლურად აღნიშნავს ჯვარს. ჯვრის ძალა არაერთგზისაა ხაზგასმული „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ტაო-კლარჯეთის უდაბნოში ეკლესია-მონასტრების ასაშენებლად მიდის ოთხი მამა: წმინდა გრიგოლი, საბა, დედის დისწული წმინდა მამის, თეოდორე - ნეძვის მაშენებელი და ქრისტეფორე კვირიკეთის მაშენებელნი.

გიორგი მერჩულეს თქმით, ეს ოთხი შეაკავშირა სარწმუნოებამ და საღმრთო სიყვარულმა, ერთი მიზნით გააერთიანა, როგორც ოთხ სხეულში დამკვიდრებული ერთი სული.

ოთხი რიცხვის სიმბოლიკაა ჯვარი. ჯვრის გადაწერით ახალი საქმის დაწყება, ადამიანის დალოცვა, ასევე ჯვარი, როგორც ძალა ბოროტისაგან დასაცავად ხშირად ხსენდება „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.“

გავიხსენოთ ოთხი მდინარე ედემში, ოთხი ცხენი აპოკალიფსში, ოთხი მხარე, ოთხი ელემენტი: მიწა, ცეცხლი, წყალი და ჰაერი, წელიწადის 4 დრო. თუმცა, უმთავრესი სიმბოლო ჯვარია, რომლის ძალითაც დევებს და ბოროტ ძალებს ანადგურებენ ქართულ ზეპირსიტყვიერებისა და სასულიერო მწერლობის ძეგლების მიხედვით.

Number symbolism resonates deeply within the ethno-cultural life of many peoples, including Georgians. According to a legend recorded by Aleksandre Ochiauri, the mythical smith Pirkushi once possessed vast flocks, but the envious Devs (ogres) would sabotage his ewes. Within the Devs' own breed of sheep, there emerged four-horned rams (chdili) that would use their horns to hurl Pirkushi's sheep off the cliffs.

According to an account by Davit Doliashvili, a resident of the village of Zheboti, the deities Kopala and Iakhsar once gave a certain Dev to Pirkushi as a servant. Pirkushi forced the Dev to build a house and haul timber; in a fit of rage, the Dev fled and plunged into the lake near Mount Akhadi. Pirkushi called upon Iakhsar for aid, who then struck the Dev in the eye with an arrow, causing the lake to fill with blood. When Iakhsar found himself trapped within the gore-filled waters, a four-horned and four-eared sheep was sacrificed, which finally secured his release.

Number four symbolically denotes the cross – a sacred power emphasized repeatedly in "The Life of Saint Grigol of Khandzta". Four holy fathers: Saint Grigol, Saba (who was a nephew of Grigol's mother), Theodore (who was a builder of Nedzvi) and Qristephore (who was a builder of Kviriketi) go to the desert of Tao-Klarjeti to build churches and monasteries. As Giorgi Merchule recounts, these four were interconnected by faith and divine love, united in a singular purpose like a single soul dwelling within four bodies.

This numerology finds its roots in the Cross, appearing in the text through the sanctification of new works and the protection of the faithful from malevolence.

While the number four evokes various universal archetypes – the rivers of Eden, the apocalyptic horsemen, the cardinal points, the four elements, and the seasons – the Cross stands as the supreme symbol. It is through the power of the Cross that, across both folklore and ecclesiastical literature, dark forces and demonic entities are overcome.

ეკა ვარდოშვილი
Eka Vardoshvili

ილია ჭავჭავაძის წერილი „წმინდა ნინო“
Ilia Chavchavadze’s Letter “Saint Nino’’

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჭავჭავაძე, წმინდა ნინო, ლიტერატურული ტრადიცია
Keywords: Chavchavadze, Saint Nino, literary tradition

უძველესი ქართული ნაწარმოები, რომელიც ქრონოლოგიურად ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ყველაზე ადრინდელ მოვლენებს ასახავს, არის „წმინდა ნინოს ცხოვრება“. ამ ნაწარმოებიდან შემოდის ქართულ ჰაგიოგრაფიაში ქართული ქრისტიანული კულტურისათვის უმნიშვნელოვანესი საკრალური სიმბოლიკა და სახისმეტყველებითი პარადიგმები. ეს სახეები აისახებიან როგორც ძველ, ასევე, ახალ და უახლეს ქართულ ლიტერატურაში. ამდენად, იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში.

დაისმის კითხვა: XIX საუკუნის პუბლიცისტურ ნაზრევში როგორ აისახა „წმინდა ნინოს ცხოვრება“? ამ კუთხით მნიშვნელოვანია, ილია ჭავჭავაძის წერილი „წმინდა ნინო“, რომელიც 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაისტამბა. „ამ ჩვენს ღვთისმშობლის წილად ხდომილს ქვეყანას ღვთისმშობლისავე ლოცვით და კურთხევით მოევლინა ზეგარდმო შთაგონებული წმინდა ქალწული, პირქვე დაამხო სალოცავნი კერპთმსახურებისანი და მათს ადგილას აღმართა ჯვარი ქრისტესი“ (ჭავჭავაძე). ავტორი წერილში ეხება იმ ძირითად მომენტებს, რომლებიც ჰაგიოგრაფიულ თხზულებაშია გადმოცემული და, ამასთანავე, საუბრობს ქრისტიანობის მნიშვნელობაზე ქართველი ხალხისათვის. „ქრისტიანობა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან“ (ჭავჭავაძე).

პარადიგმულ სახეთაგან, რომელიც „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ შემოაქვს ქართულ ჰაგიოგრაფიაში, უმთავრესია, ღვთისმშობლის, თავად წმინდა ნინოს, ჯვრისა და ეკლესიის სახისმეტყველება. აღსანიშნავია, რომ ქართველ რომანტიკოსთა და რეალისტთა პოეზიაში ჩვენ ხშირად ვხვდებით წმინდა ნინოს სახეს. XIX საუკუნის ქართველი რეალისტი მწერლის აკაკი წერეთლის პოემა „წმინდა ნინო“ ყველაზე მეტად უახლოვდება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციებს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ბერძნულ-ბიზანტიური გარემოდან შემოსულმა ქრისტიანობამ იმთავითვე განსაზღვრა ქართული კულტურის ევროპული ხასიათი.

The earliest Georgian literary work that chronologically reflects the first events associated with Christianity is “The Life of Saint Nino”. It is through this work that the most significant sacred symbolism and iconographic paradigms of Georgian Christian culture entered Georgian hagiography. These images are reflected not only in Old

Georgian literature but also in new and contemporary Georgian literary traditions. Consequently, “The Life of Saint Nino” constitutes one of the most important works in Georgian literature.

A question arises: How was “The Life of Saint Nino” reflected in nineteenth-century publicistic thought? In this respect, the essay “Saint Nino” by Ilia Chavchavadze, published in 1888 in the newspaper Iveria, is of particular importance. As Chavchavadze writes: “Into this land allotted to our Holy Mother, through her prayer and blessing, there appeared a divinely inspired holy virgin, who overthrew the shrines of idolatry and raised in their place the Cross of Christ” (Chavchavadze). In this essay, the author addresses the key episodes presented in the hagiographic work while simultaneously reflecting on the significance of Christianity for the Georgian people. As he further states: “For us, Christianity meant the entire land of Georgia; it meant Georgian identity itself. Even today, throughout Transcaucasia, the words ‘‘Georgian’’ and ‘‘Christian’’ are synonymous” (Chavchavadze).

Among the paradigmatic images introduced into Georgian hagiography by “The Life of Saint Nino”, the most fundamental are the iconographic representations of the Theotokos, Saint Nino herself, the Cross, and the Church. It is noteworthy that the figure of Saint Nino frequently appears in the poetry of Georgian Romantic and Realist writers. The nineteenth-century Georgian realist writer Akaki Tsereteli’s poem “Saint Nino” comes closest to the various redactions of “The Life of Saint Nino”.

Attention should also be paid to the fact that Christianity, introduced from the Greek-Byzantine cultural context, from the very outset determined the European character of Georgian culture.

ანა ლეთოდიანი
Ana Letodiani

ლიმინალობის თეორია და პერსონაჟის ტრანსფორმაცია (ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით)
Theory of Liminality and Character Transformation (Based on the Epic Poems of Vazha-Pshavela)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ლიმინალობის თეორია, ვაჟა-ფშაველა, პერსონაჟი
Keywords: theory of liminality, Vazha-Pshavela, character

ჩვენი მოხსენების მიზანია ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის კონტექსტში პერსონაჟის ტრანსფორმაციის ვარიაციების გამოკვეთა ვაჟა-ფშაველას პოემების – „ალუდა ქეთელაურის“, „სტუმარ-მასპინძელისა“ და „გველისმჭამელის“ – მიხედვით. ლიმინალობა უკავშირდება ცხოვრებისეულ ცვლილებათა სხვადასხვა ფორმას – სოციალური სტატუსის, ღირებულებების, პიროვნული თუ სხვა ტიპის ტრანსფორმაციას – და, უპირველესად, იდენტობის ძიების პროცესს. ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, ნებისმიერი სახის ცვალებადობა სამ ფაზას მოიცავს: სეპარაციას, ლიმინალობას და ინკორპორაციას/რეაგრეგაციას.

სეპარაცია გულისხმობს გარკვეული სოციალური ერთობისაგან გამოცალკევებას, ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე გამიჯვნას; ამ დროს ინდივიდი ერთობისათვის ნიშნეულ მახასიათებლებს კარგავს. ლიმინალობა მოიცავს ნორმატიული კონტექსტისაგან მოწყვეტას და ზღვრულ, კრიზისულ მდგომარეობას, რომელშიც ძველი იდენტობა უკვე რღვეულია, ხოლო ახალი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ინკორპორაცია/რეაგრეგაცია კი გულისხმობს საზოგადოებაში დაბრუნებას განახლებული სოციალური სტატუსით.

ლიმინალობის თეორიის კონტექსტში მხატვრული ტექსტის გააზრებისას განსაკუთრებით საყურადღებოა პერსონაჟთა სახეცვლილების პროცესზე დაკვირვება. ჩვენთვის საგულისხმოა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფარგლებში, გარკვეული ნიშნებით მსგავს პერსონაჟთა ტრანსფორმაციის განსხვავებული ვარიაციების გააზრება. ვაჟა-ფშაველას პოემებში „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ პერსონაჟთა შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესი, ძირითადად, შეესაბამება ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით გამოყოფილ ეტაპებს. აღნიშნულ მხატვრულ ტექსტებში ვხედავთ სეპარაციისა და ლიმინალობის მტკივნეულ, კრიზისულ ფაზებს, ასევე – ფიქრისა და გაცნობიერებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე ინკორპორაციის პროცესს, თუმცა განსხვავებული ვერსიებით.

განსხვავებული ვითარებაა „გველისმჭამელის“ მთავარი პერსონაჟის, მინდიას შემთხვევაში. მისი ტრანსფორმაციის პროცესი ლიმინალობის ანთროპოლოგიურ თეორიაში გამოყოფილ საფეხურებს სრულად არ ესადაგება. მოხსენებაში შევეცდებით, ვაჩვენოთ, ლიმინალობის თეორიის ფარგლებში როგორი სახით რეალიზდება პერსონაჟის შინაგანი ცვლილების პროცესი ვაჟა-ფშაველას საკვლევად შერჩეულ პოემებში, რა შემთხვევაში ესადაგება ლიმინალობის მიხედვით გადანაცვლების კლასიკურ ფაზებს და რა შემთხვევაში, არა.

The aim of our presentation is to identify the variations of character transformation within the context of the anthropological theory of liminality, based on Vazha-Pshavela's poems — Aluda Ketelauri, Host and Guest, and The Snake-Eater. Liminality is associated with various forms of life changes – transformations of social status, values, personal growth, or other types – and, primarily, with the process of searching for identity. According to the anthropological theory of liminality, any form of change involves three phases: separation, liminality, and incorporation/reaggregation.

Separation involves detachment from a certain social unity and differentiation based on individual choice; during this phase, the individual loses the characteristics inherent to that unity. Liminality involves a severance from the normative context and a marginal, crisis state in which the old identity has already been dissolved, but the new one is yet to be formed. Incorporation/reaggregation, in turn, implies returning to society with a renewed social status.

When analyzing a literary text within the context of liminality theory, observing the process of character metamorphosis is of particular interest. It is significant for us to understand the different variations of transformation among characters who share certain similarities within the scope of Vazha-Pshavela's work. In the poems Aluda Ketelauri and Host and Guest, the process of internal transformation mostly corresponds to the stages identified by the anthropological theory of liminality. In these literary texts, we see the painful, crisis phases of separation and liminality, as well as the process of incorporation occurring on the basis of reflection and conscious decision-making, albeit in different versions.

The situation is different in the case of Mindia, the protagonist of The Snake-Eater. The process of his transformation does not fully align with the steps outlined in the anthropological theory of liminality. In this report, we will attempt to show how the process of a character's internal change is realized within the framework of liminality theory in the selected poems of Vazha-Pshavela, examining the extent to which it aligns with – or diverges from – the classical stages of liminal transition.

ქეთევან მამასახლისი
Ketevan Mamasakhlisi

კლდის ძეგლები საქართველოში და ვაჰანის ქვაბთა განგება
Rock Monuments in Georgia and the Typicon of the Vahani Caves

თბილისის სასულიერო აკადემია
Tbilisi Theological Academy

საკვანძო სიტყვები: საქართველო, მონასტიციზმი, ტიპიკონი
Keywords: Georgia, monasticism, typikon

წარმართული ხანის საკულტო დანიშნულების ნაგებობებმა ქრისტიანულ სინამდვილეში ახალი დატვირთვა შეიძინა. ასეთია ბერთაყანის გამოქვაბულთა კომპლექსები, ვაჰანის ქვაბები და სხვ.

საქართველოში კლდეში ნაკვეთ სამონასტრო კერებს ასურელ მამათა ზეგავლენით ჩაეყარა საფუძველი.

სავარაუდოა, რომ ადრეულ ეპოქაში ქართულ მონასტიციზმს აბსოლუტურად ქვაბოვანი ბუნება ჰქონდა.

მსგავსი დანიშნულების გამოქვაბულების კომპლექსი გვხვდება გარეჯის უდაბნოს დასავლეთ მასივში.

ვაჰანის ქვაბთა სამონასტრო კომპლექსი მოიცავს 200–მდე გამოქვაბულს, რომელიც 16 სართულზეა წარმოდგენილი.

ამ ადგილს, მსგავსად სხვა ქვაბოვანი კერებისა, წინაქრისტიანულ ეპოქაში საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რომელიც მოგვიანებით ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისად გარდაიქმნა.

ასკეტურ ცხოვრებას ვაჰანის ქვაბებში საფუძველი VII–IX საუკუნეებში ჩაეყარა, IX-XI საუკუნეებში კი განსაკუთრებით დაწინაურდა. გამოიკვეთა წმ. დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძარი და სენაკები ძმათათვის.

ჩვენამდე მოაღწია ვაჰანის ქვაბთა განგებამ (1225–1230 წწ.), რომლის ავტორია მხარგრძელი, სარგისის ძე.

აღნიშნული ტიპიკონი ჩვენს ყურადღებას მრავალმხრივ იპყრობს. მართალია, მან არასრული სახით მოაღწია, მაგრამ შეგვიძლია გამოვყოთ დისციპლინური ხასიათის უმნიშვნელოვანესი წესები, როგორებიცაა: ძმათა რაოდენობა, მონასტრის წევრების სამ დასად დაყოფა, წინამძღვრის გამორჩევის წესი, სტუმართა მიღება, დამოკიდებულება ყრმებთან, სასჯელები და სხვ.

ვაჰანის ქვაბთა განგება ბევრ საერთოს პოვებს როგორც საკუთრივ ქართულ, ისე ბიზანტიურ სამყაროში დამკვიდრებულ სამოღვაწეო წესებთან.

Cultic structures pagan era acquired a new significance within the Christian reality. Examples of such transformations include the Bertaqana cave complexes, the Vahani Caves, and others.

In Georgia, rock-carved monastic centers were established under the influence of Assyrian fathers.

It is likely that in the early period, Georgian monasticism had an entirely cave-based character.

A similar complex of caves with the same purpose is found in the western massif of the Gareji desert.

The Vahani cave monastic complex comprises about 200 caves, represented on 16 levels.

This place, like other cave centers, must have had a cultic purpose in the pre-Christian era, which later transformed according to the Christian worldview.

The foundation for ascetic life in the Vahani Caves was laid in the 7th–9th centuries, and it particularly advanced in the 9th–11th centuries. The church dedicated to St. George the Great Martyr and cells for monks were distinguished.

The Rule of Vahan's Cups (1225–1230), authored by Mkhargrdzeli, son of Sargis, has reached us.

This typikon captures our present-day life in many ways. Although it has reached us in an incomplete form, we can identify the most important disciplinary rules, such as: the number of brothers, dividing the monastery members into three classes, the method of selecting the abbot, the reception of guests, the attitude towards novices, punishments, and more.

The Rule of Vahan's Caves finds many commonalities with both the native Georgian and the Byzantine monastic practices.

ხათუნა ნიშნიანიძე
Khatuna Nishniadze

ერთი ბიბლიური პარადიგმა და ეროვნული იდენტობის საკითხი შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში: კოლექტიური მეხსიერების კონცეფციის ჭრილში

The Biblical Paradigm and the Question of National Identity in Medieval Georgian Literature: In the Context of the Concept of Collective Memory

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
Tbilisi Theological Academy and Seminary

საკვანძო სიტყვები: დავით გურამიშვილი, „დავითიანი", მორის ჰალბვაქსი, კოლექტიური მეხსიერება, სოციალური ჩარჩო.
Keywords: David Guramishvili, Davitiani, Maurice Halbwachs, collective memory, social framework

დავით გურამიშვილი – თავისი დროის მემატიანე – პროფესიონალი მეისტორიის თვალით აფასებს მიმდინარე მოვლენებს.

„დავითიანი“ – „ქართველთა ვინაობის სახსოვარი“ – მოიცავს და აერთიანებს სხვადასხვა ისტორიულ და კულტურულ გამოცდილებას, ქმნის ახალ მხატვრულ სინამდვილეს და სამომავლო პერსპექტივებსაც სახავს ეთიკურ-რელიგიური, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჭრილში.

გურამიშვილის ჩანაფიქრი, მიზანი ერთია - წინასწარმეტყველური ხედვით განმსჭვალულმა შემოიკრიბოს მკითხველი, მსმენელი და სამკვიდრო ქვეყნის დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილის წიაღში გააერთიანოს; სრულყოს და აღჭურვოს თავისი მსმენელი ფიქრის, განსჯის, შემეცნების უნარებითა და გრძნობად-ემოციური პათოსით: „აწ დავიწყო თქმა მართლისა, მომსმენელო შემოკრებით.../მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდრო თავში ხელის შემოკრებით,/ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა ჩვენდა გარეშემო მტრებით“ [40. 181].

კვლევის ერთ-ერთ მეთოდოლოგიურ საფუძველად ვიყენებთ ფრანგი სოციოლოგის მორის ჰალბვაქსის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც მეხსიერება არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ფსიქიკური პროცესი. პირიქით, ის სოციალურად კონსტრუირდება – ანუ ყალიბდება იმ ჯგუფების გავლენით, რომლებშიც ადამიანი ცხოვრობს (ოჯახი, რელიგიური საზოგადოება, ერი და სხვა).

ჰალბვაქსის მიხედვით, წარსული არ ინახება უცვლელად, არამედ აღდგება (რეკონსტრუირდება) აწმყოს საფუძველზე. „დავითიანში” რეკონსტრუირებული წარსული სწორედ აწმყო გამოწვევებით განსაზღვრულ სოციალურ ჩარჩოებში აქტიურდება და ყალიბდება. ეს სოციალური ჩარჩოებია: ა) რელიგიური - მსოფლმხედველობრივი და ეთიკური; ბ) ისტორიულ-პოლიტიკური; გ) სახელმწიფოებრივი; დ) კულტურული.

აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავთ, რა არის „დავითიანში“ მოცემული ისტორიული დრო-სივრცის ძირითადი საზრისი და რომელი პრინციპების წარმოჩენა სურს ავტორს? ქვეყნისა და თავისი ისტორიიდან რას და როგორ გამოარჩევს და იხსენებს დავით გურამიშვილი და რატომ? როგორია დავით გურამიშვილისა და სხვა პერსონჟთა რეფლექსია, აღქმა ქართველთა თვითიდენტიფიცირების საკითხთან მიმართებით რუსულ-ევროპულ-აღმოსავლურ სამყაროს გამოწვევების ფონზე? როგორია ეროვნულ-კულტურული მახასიათებლები და მისი შენარჩუნების გზა „შინ“ და სხვა პოლიტიკურ, მენტალურ, კულტურულ დროსა და სივრცეში? როგორ იკვეთება რელიგიურ-სარ-

წმუნოებრივი, ენობრივი და სახელმწიფოებრივი იდენტობის საკითხი ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში „დავითიანისა“ და სხვა ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროების მიხედვით?

ფორმულირებულ სოციალურ ჩარჩოთაგან ნაშრომში ასევე ვრცლად განვიხილავთ ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ერთ არსებით მახასიათებელს, რომლის მიხედვითაც ქართლი/საქართველო განიხილება როგორც მონარქიული სივრცე; ვისაუბრებთ ქართველ მეფეთა ბიბლიური წარმომავლობის იდეის წანამძღვრებსა და მის რეფლექსიაზე შუა საუკუნეების ქართულ მწერლობასა და „დავითიანში“.

David Guramishvili, as a chronicler of his time, evaluates ongoing events through the perspective of a professional historian. “Davitiani” – conceived as a “repository of Georgian identity” – encompasses and synthesizes diverse historical and cultural experiences, creates a new artistic reality, and outlines future perspectives within the ethical-religious, social, and state dimensions of life.

Guramishvili’s intention is singular: imbued with a prophetic vision, he seeks to gather his readers and listeners and unite them within the profound collective grief caused by the loss of their homeland; at the same time, he aims to refine and equip them with the capacities for reflection, judgment, cognition, and emotional-intellectual engagement: “And now, I will begin to tell the truth, O listeners, gathered together… / Let us mourn our homeland, let us clap our hands on our heads / For how we have lost our country, surrounded by enemies.” [40:181].

One of the methodological foundations of this study is the concept developed by the French sociologist Maurice Halbwachs, according to whom memory is not merely an individual psychological process. On the contrary, it is socially constructed – that is, shaped by the groups within which individuals live (family, religious community, nation, etc.).

According to Halbwachs, the past is not preserved in a fixed form but is reconstructed on the basis of the present. In “Davitiani”, the reconstructed past is activated and shaped within social frameworks determined by contemporary challenges. These social frameworks include: (a) religious – worldview and ethical; (b) historical-political; (c) state-oriented; and (d) cultural.

This study examines the following questions: What is the principal meaning of the historical time-space represented in “Davitiani”, and which principles does the author seek to foreground? What does Guramishvili select and recall from his country and its history, and why? How do Guramishvili and other characters reflect upon and perceive the issue of Georgian self-identification against the backdrop of Russian, European, and Eastern challenges? What are the defining features of national-cultural

identity, and what are the means of its preservation both within the homeland and across different political, mental, and cultural times and spaces? How are religious, linguistic, and state identities articulated in the life of the Georgian diaspora, as reflected in “Davitiani” and other historical and literary sources?

Within the framework of the identified social contexts, the study also examines in detail one essential characteristic of Georgian collective memory, according to which Kartli/Georgia is conceptualized as a monarchical space. Particular attention is devoted to the premises of the idea of the biblical origin of Georgian kings and its reflection in medieval Georgian literature and in “Davitiani”.

ნინო პოპიაშვილი
Nino Popiashvili

პროზელიტი პერსონაჟების პერსონიფიცირების საკითხისათვის უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა“ და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ მიხედვით

On the Personification of Proselyte Characters in the Unknown Author's The Martyrdom of Eustathius of Mtskheta and Ioane Sabanisdze's The Martyrdom of Abo of Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ჰაგიოგრაფია, პროზელიტიზმი, პერსონიფიცირება
Keywords: Georgian hagiography, proselytism, personification

ადრეული შუასაუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურაში ასახულია პროზელიტიზმი, როგორც განსაკუთრებული რელიგიური, თეოლოგიური, ისტორიული მოვლენა. აღსანიშნავია, რომ პროზელიტიზმი (ბერძნ. προσήλυτος, prosēlytos) აღნიშნავს რელიგიის შეცვლას, კერძოდ, ერთ რელიგიურ ტრადიციიდან მეორეში გადასვლას. პროზელიტი მომდინარეობს ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანიდან და მიემართება ადამიანს, რომელიც არ არის წარმოშობით იუდეველი, ანუ ებრაელი, მაგრამ ცხოვრობს იუდეველთა შორის. ქართულ ჰაგიოგრაფიაში ასახულია როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროზელიტების ცხოვრებისა და წამების ამბავი.

ჰაგიოგრაფ ავტორთა მოტივაცია ორმხრივად არის მნიშვნელოვანი და მრავალმრიან ინტერპრეტაციას საჭიროებს. ერთი მხრივ, მოწამეთა ცხოვრება და წამება წარმოდგენილია ქრისტიანული რელიგიური პარადიგმის ფარგლებში, სადაც მთავარი აქცენტი კეთდება რწმენის სიმტკიცეზე, სულიერ ტრანსფორმაციაზე, ღვთისადმი ერთგულებასა და მოწამეობრივი გმირობის მოდელზე. ამ კონტექსტში პროზელიტი პერსონაჟი განიხილება, როგორც იდეალური ქრისტიანის მაგალითი, რომლის სარწმუნოებრივი არჩევანი და თავდადება უნივერსალურ, ზენაციონალურ ღირებულებებს გამოხატავს და ჰაგიოგრაფიული ნარატივის დოგმატურ-თეოლოგიურ ფუნქციას ემსახურება.

მეორე მხრივ, უცხოელ პროზელიტთა სარწმუნოებრივი ღვაწლის ხაზგასმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული იდენტობის კონსტრუირების პროცესში. ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ხაზგასმულია ქართული, ეროვნული პერსპექტივა. ნათლად ჩანს, რომ უცხოელი პერსონაჟები ინტეგრირდებიან ქართულ კულტურულ სივრცეში და ეროვნული წმინდანები ხდებიან.

სწორედ ამ ორმაგი ფუნქციის: უნივერსალურ-ქრისტიანულისა და ეროვნულ-კულტურულის გათვალისწინებით ყალიბდება პროზელიტი პერსონაჟის პერსონიფიცირების სპეციფიკური მოდელი. იგი სცილდება ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის ტრადიციულ სქემებს და იძენს დამატებით სემანტიკურ და ნარატიულ დატვირთვას. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდასახვის, არჩევანის თავისუფლების, კულტურული ტრანსფორმაციისა და იდენტობის რეპრეზენტაციის საკითხებს.

მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ ქართული ჰაგიოგრაფიის უცხოელ პროზელიტთა პერსონაჟის ასახვის მოდელების სტრუქტურული, შინაარსობრივი, აზრობრივი და

ფრაზეოლოგიური მახასიათებლების გამოვლენაზე. შედარებითი-ტიპოლოგიური ანალიზისას იკვეთება, რომ უცხოელ პროზელიტთა პერსონიფიცირება, გარკვეულწილად, ემთხვევა ჰაგიოგრაფიული პერსონაჟების ზოგად მოდელებს, თუმცა გამოირჩევა ინდივიდუალური მახასიათებლებით.

In early medieval Christian literature, proselytism is represented as a significant religious, theological, and historical phenomenon. It should be noted that proselytism (Greek: προσήλυτος, prosēlytos) refers to the change of religion, specifically the transition from one religious tradition to another. The term "proselyte" originates from the Greek translation of the Old Testament and denotes a person who is not ethnically Jewish but lives among the Jewish community. In Georgian hagiography, the lives and martyrdoms of both Georgian and foreign proselytes are depicted.

The motivation of hagiographic authors is twofold and requires a multi-layered interpretation. On the one hand, the lives and martyrdoms of saints are presented within a Christian religious paradigm, where emphasis is placed on the firmness of faith, spiritual transformation, devotion to God, and the model of martyrial heroism. In this context, the proselyte character is portrayed as an ideal Christian, whose conscious religious choice and devotion express universal, transnational values and serve the dogmatic-theological function of the hagiographic narrative.

On the other hand, the emphasis on the religious devotion of foreign proselytes plays a significant role in the construction of national identity. Georgian hagiographic texts foreground a distinctly national perspective, within which foreign characters are integrated into the Georgian cultural space and ultimately transformed into national saints.

It is precisely at the intersection of these two functions: universal Christian and national-cultural that a specific model of proselyte personification emerges. This model transcends conventional hagiographic character patterns and acquires additional semantic and narrative dimensions, highlighting themes such as conversion, freedom of choice, cultural transformation, and the representation of identity.

The paper focuses on identifying the structural, thematic, conceptual, and phraseological features of the representation of foreign proselyte characters in Georgian hagiography. A comparative-typological analysis reveals that, while the personification of foreign proselytes partially aligns with general hagiographic character models, it also demonstrates distinctive individual characteristics.

ქეთევან სირაძე
Ketevan Siradze

„წმინდა ნინოს ცხოვრება“, როგორც უძველესი ქართული ნაწარმოები
“The Life of Saint Nino” as the Earliest Georgian Literary Work

კავკასიის უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
Caucasus University
School of Humanities and Social Sciences

საკვანძო სიტყვები: წმინდა ნინო, ქართული მწერლობის დასაწყისი, პირველი ქართული ნაწარმოები
Keywords: Saint Nino, the beginning of Georgian literature, the first Georgian literary work

ქართული მწერლობა უნდა იწყებოდეს „წმინდა ნინოს ცხოვრებით“. ეს მოვლენა, ვფიქრობ, უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც კულტუროლოგიური, ასევე საგანმანათლებლო თვალსაზრისით. განსაკუთრებით საფუძვლიანადაა ეს ხედვა დასაბუთებული რ. სირაძის მონოგრაფიაში „წმინდა ნინოს ცხოვრება და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა“. ამ იდეას თავის დროზე მრავალი მომხრე ჰყავდა: მ. ჩხარტიშვილი, ზ. ალექსიძე, ვ. გოილაძე, გ. კუჭუხიძე, ც. ქურციკიძე, ა. აბდალაძე, ა. ბოგვერაძე...

რა შეიძლება მოვიყვანოთ ამ თეორიის ძირითად მტკიცებულებად?

1. ჯერ კიდევ ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ადასტურებდა, რომ ბერძენი და სომეხი ისტორიკოსები – რუფინუსი, სოზომენე და ხორენაცი ქართულ წყაროებს იყენებდნენო.

2. კონსტანტინე მეფემ ქართლში მირიანის თხოვნით ოთხშაბათს დააწესა მცხეთის ჯვრის დღესასწაული. უძველესი დროიდანვე დადგენილა ნათლის სვეტის - სვეტიცხოვლის დღესასწაულიც. შეუძლებელია, ამ დღესასწაულების აღნიშვნისას არ ყოფილიყო საეკლესიო საკითხავები, რომლებიც ლიტურგიკული საჭიროებიდან გამომდინარე ამ დროს უნდა დაწერილიყო.

3. ცხოვრების ქართულ რედაქციებზე ბევრად ადრე, მე–6 საუკუნის მრავალთავებში, უკვე ჩანს წმ. ნინოს კულტის არსებობა, რაც ასევე მეტყველებს, რომ უნდა არსებულიყო ჩვენამდე არმოღწეული უძველესი საკითხავები;

4. ცხოვრების რედაქციებში მთხრობელები არიან თავად წმინდა ნინო, ასევე მისი თანამედროვენი: სალომე უჯარმელი, პეროჟავრ სივნიელი, მეფე მირიანი, აბიათარ მღვდელი, სიდონია, იაკობი. მთხრობელთა მიხედვით ამგვარი დაყოფა მიუთითებს ამ ეპიზოდთა ადრეულობაზე. წარმოუდგენელია, რომ მე–6–მე–7 საუკუნეების შემდეგ ეპიზოდების მთხრობელთა ვინაობა ზეპირმეტყველებით სიზუსტით გადაცემულიყო....

აქვე უნდა გავაანალიზოთ, რატომ არის ამ მოვლენის აღიარება მნიშვნელოვანი.

გარდა იმისა, რომ ქართული მწერლობის დასაბამის დათარიღება იცვლება, „წმინდა ნინოს ცხოვრება“, რომელიც მოციქულთა სწორი ნინოს გზასა და ღვაწლს ასახავს, სამოციქულოს დარი წიგნია და ის, რომ ჩვენი მწერლობა მისით იღებს დასაბამს, ეს მეტყველებს ჩვენი მწერლობის ბიბლიურ საფუძვლებზე. თანაც როგორი ტიპოლოგიური მსგავსებებია: არსით ბიბლიურია ფარავნის ტბაზე გამოცხადებით

მიღებული წერილი – ქართულ დეკალოგად წოდებული, სვეტიცხოველი – ნათლის სვეტი – ღვთისჩენაა ქართულ მიწაზე და მოსეს კარავზე აღმართულ ნათლის სვეტს ემსგავსება, მცხეთაში აღმართული ჯვარი დამაკავშირებელი ზეცასთან მსგავსად ბიბლიაში თქმულისა: „ამიერითგან იხილნეთ ცანი განხუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და ძესა ზედა კაცისასა“ (ინ. 1:51).

აქვე შევეცდებით ოპონენტთა მოსაზრებების გაბათილებას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ არ გვაქვს საფუძველი რედაქციებში უძველესი შრეების მე–4 საუკუნით დათარიღებისა.

Georgian literature should begin with The Life of Saint Nino. In my view, this issue is of great importance from both cultural and educational perspectives. This viewpoint is most thoroughly substantiated in R. Siradze's monograph The Life of Saint Nino and the Beginning of Georgian Hagiography. At the time, this idea had many supporters: M. Chkhartishvili, Z. Aleksidze, V. Goiladze, G. Kuchukhidze, Ts. Kurtsikidze, A. Abdaladze, A. Bogveradze.

What can be considered the main evidence for this theory?

1. The historian Dimitri Bakradze had already argued that Greek and Armenian historians – Rufinus, Sozomen, and Khorenatsi – used Georgian sources.

2. At the request of King Mirian, Emperor Constantine established the Feast of the Cross of Mtskheta on a Wednesday. From ancient times, the feast of the Life-Giving Pillar – Svetitskhoveli – was also observed. It is inconceivable that such celebrations took place without ecclesiastical readings; these texts must have been composed at that time to meet liturgical needs.

3. Long before the Georgian redactions of The Life, the existence of the cult of Saint Nino is already attested in 6th-century lectionaries, which suggests that earlier texts – now lost – must have existed.

4. In the redactions of The Life, the narrators include Saint Nino herself as well as her contemporaries: Salome of Ujarma, Perozhavr Sivnieli, King Mirian, the priest Abiatar, Sidonia, and Jacob. Such a division of narrators points to the early origin of these episodes. It is difficult to imagine that, after 6–7 centuries, the identities of the narrators could have been transmitted with such precision through oral tradition.

We should also analyze why recognizing this phenomenon is important.

In addition to changing the dating of the beginnings of Georgian literature, The Life of Saint Nino, which depicts the path and deeds of Nino, Equal-to-the-Apostles, is a work comparable to apostolic writings. The fact that Georgian literature begins with it points to its biblical foundations. Moreover, there are notable typological parallels: the letter revealed at Lake Paravani – known as the Georgian Decalogue – is essentially biblical in nature; Svetitskhoveli, the Life-Giving Pillar, is a manifestation of God on

Georgian soil and resembles the pillar of light above the Tabernacle of Moses; and the cross erected in Mtskheta serves as a link to heaven, as it is said in the Bible: “Hereafter you shall see heaven open, and the angels of God ascending and descending upon the Son of Man” (John 1:51).

We will also attempt to refute the views of those opponents who argue that there are no sufficient grounds for dating the oldest layers of these redactions to the 4th century.

თამარ შარაბიძე
Tamar Sharabidze

მიტევებისა და მტრის სიყვარულის მოტივი ქართულ ლიტერატურაში
Review of Laura Grigolashvili's Monograph – Literary Concepts and More

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მიტევება, მტრის სიყვარული, ქართული ლიტერატურა, ვაჟა-ფშაველა
Keywords: forgiveness, love of the enemy, Georgian literature, Vazha-Pshavela

მიტევება „წმინდა წერილის“ ერთ-ერთი მთავარი მოტივია, რომელიც ქრისტიანთა უმთავრეს ლოცვაში – „მამაო ჩვენოშია“ – გახმოვანებული. ეს მოტივი თავისი არსით მტრის სიყვარულის მოტივსაც უკავშირდება, რადგან ადამიანს ყველაზე მეტად მტრის შეყვარება უჭირს (იხ. მათე 5, 7; მათე 5, 44–45).

მოყვასის პატიება ადვილია, მაგრამ მტრისა კი – ძნელი, ის უფლის მსგავს სრულქმნილებას მოითხოვს, ანუ ჭეშმარიტ ქრისტიანობას. მორწმუნის მთელი ცხოვრებაც ხომ გზაა ამ სრულქმნილებისკენ.

ქართული ლიტერატურა განებივრებული არ არის „მტრის შენდობის“ და, მით უმეტეს, „მტრის სიყვარულის“ მოტივით, მაგრამ, მისდა სასახელოდ, ორივე მოტივი ისეთ დიდ მწერლებთანაა წარმოჩენილი, რომ, არა მხოლოდ დაუვიწყარი ხდება მკითხველისათვის, არამედ მისაბაძი და ცხოვრების ღირებულებათა განმსაზღვრელი.

მტრის შენდობის მოტივი პირველად ქართულ ჰაგიოგრაფიაში, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვხვდება. მისი მიზანია გრიგოლის ღვთის კაცად წარმოჩენა, ის ქრისტეს მიემსგავსება.

მეორე მაგალითს ქართველთათვის სათაყვანებელი შოთა რუსთაველი გვთავაზობს. ხატაეთის ომის შემდგომ ფარსადანმა შეუნდო რამაზ მეფეს, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ შეწყალების შემდეგ რამაზი მათი მტერი აღარ იქნება. ფარსადანის მოტივაცია პოლიტიკურია.

მისი მსგავსი ცნობიერება აქვს როსტევან მეფესაც. იგი ტახტზე დასმულ ქალიშვილს წყალობისა და სიუხვისაკენ მოუწოდებს, რადგან „უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“ (51). როსტევანი საკუთარი სიუხვისათვის წყალობას ელის როგორც უფლისგან, ასევე – კაცთაგან. სხვაგვარი მოტივაცია აქვს ტარიელს, ის „ღვთისავე მსგავსად“ იქცევა.

უკვე მე–19 საუკუნეში, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჩანს, თუ რა ძნელია ადამიანისათვის ღვთის მსგავსი ქმედება. ილიას ლოცვა მტრის შეწყალების მოტივით სრულყოფას აღწევს.

მხოლოდ ვაჟა-ფშაველასთან გვხვდება რეალურად აღსაქმელი მტრის სიყვარულის მოტივი. მწერალი განასხვავებს სიყვარულსა და სიბრალულს ერთიმეორისაგან. ცალკე აღებული სიბრალული, მიუხედავად ამ გრძნობის კეთილშობილებისა, მაინც „ბატონ-კაცურად“ მიიჩნია, რადგან უნებურად ადამიანი თავის თავს უფრო ბედნიერად გრძნობს, ვიდრე იმას, ვისაც იბრალებს. ვაჟა გვეუბნება, რომ სიბრალული, მხოლოდ და მხოლოდ, სიყვარულთან კავშირში უნდა არსებობდეს, რათა ამ გრძნობამ სრულყოფილებას მიაღწიოს და ბატონკაცურ მოწყალებად არ გადაიქცეს. სწორედ ასეთი სიყვარულია

ქრისტიანული რელიგიის საფუძველი, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ, სიყვარულს ემყარება და არა სიბრალულს.

შეიძლება ითქვას, სახარებისეული მტრის დანდობისა და სიყვარულის მოტივი მთელ ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მეტი სიცხადითა და მხატვრულობით სწორედ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ვლინდება, რომელიც სათაყვანოა ქართველი კაცისათვის და მაგალითის მიმცემი. ალუდამ ქისტი მუცალი შეიბრალა, ქისტმა ჯოყოლამ ზვიადაური დაიცვა, გველმა კი გადაარჩინა ლუხუმი. ეს ყველაფერი კი სიყვარულის საფუძველზე ხდება. ვაჟამ იცის, რომ ასეთი რწმენა გადაარჩენს საქართველოსაც.

Forgiveness is one of the main motifs of the “Holy Scripture”, which is expressed in the most important prayer of Christians – “Our Father”. This motif is also connected in its essence to the motif of loving one’s enemy, because it is most difficult for a person to love one’s enemy (see Matthew 5:7; Matthew 5:44-45).

It is easy to forgive one’s neighbor, but it is difficult to forgive one’s enemy; it requires perfection like the Lord, that is, true Christianity. The whole life of a believer is also a path to this perfection.

Georgian literature is not spoiled by the motif of “forgiving one’s enemy” and, even more so, “loving one’s enemy”; but, to its credit, both motifs are presented by such great writers that they become not only unforgettable for the reader, but also role models and determinants of life values.

The motif of forgiving one’s enemy is first found in Georgian hagiography, in Giorgi Merchule’s “The Life of Grigol Khandzteli”. Its aim is to present Grigol as a man of God, resembling Christ.

Another example is offered by Shota Rustaveli, a Georgian who is revered. After the Khataeti War, Parsadan pardoned King Ramaz, although he knew exactly that after the pardon, Ramaz would no longer be their enemy. Parsadan’s motivation is political.

King Rostevan also has a similar consciousness. He calls on his daughter, who has been placed on the throne, to be merciful and generous, because “everyone obeys abundance, even those who are unfaithful” (51). Rostevan expects mercy from both the Lord and men for his own abundance. Tariel has a different motivation, he behaves “like God himself”.

Already in the 19th century, Ilia Chavchavadze’s work shows how difficult it is for a person to act like God. Ilia’s prayer reaches its perfection with the motive of forgiving an enemy.

It is only through the works of Vazha-Pshavela that the motive of love for an enemy can be truly understood. The writer distinguishes love and pity from each other. Pity taken separately, despite the nobility of this feeling, is still considered “gentle-

manly," because a person involuntarily feels happier about himself than the person he pities. Vazha tells us that pity should exist only in connection with love, so that this feeling can reach perfection and not turn into a lordly mercy. It is precisely such love that is the foundation of the Christian religion, which is based solely on love, not pity.

It can be said that the Gospel motif of trusting and loving the enemy in all of Georgian literature is most clearly and artistically manifested in the works of Vazha-Pshavela, who is revered by Georgians and sets an example. Aluda pitied the Kist Mutsali, the Kist Jokola protected Zviadauri, and the snake saved Lukhum. All this is done on the basis of love. Vazha knows that such faith will save Georgia as well.

ეკა ჩიკვაიძე
Eka Chikvaidze

გრივერ ფარულავა და ძველი ქართული პროზის ესთეტიკური რეაბილიტაცია
Griver Parulava and the Aesthetic Rehabilitation of Old Georgian Prose

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
კავკასიის უნივერსიტეტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Caucasus University

საკვანძო სიტყვები: ესთეტიკური რეაბილიტაცია, ქრისტიანული ესთეტიკა, შინაგანი ხილვა, სულის მოძრაობა, მხატვრული ავტონომია
Keywords: aesthetic rehabilitation, Christian aesthetics, inner vision, movement of the soul, artistic autonomy

გრიველრ ფარულავა არ იყო ჩვეულებრივი ფილოლოგი; ის იყო ტექსტის ფილოსოფოსი. მისი ნაშრომი „მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში“ 1980–იან წლებში ნამდვილი სიახლე გახლდათ. ძველი ქართული მწერლობის ძირითადად ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შესწავლას ბატონმა გრიველრმა შემატა ტექსტის მხატვრული ავტონომია და ესთეტიკური ღირებულება. მისი კვლევა შედგება 6 თავისაგან: ქრისტიანული ხელოვნების ძირითადი პრინციპები; ობიექტურ და ესთეტიკურ სინამდვილეთა ურთიერთმიმართება; მხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა; მოქმედება და სულის მოძრაობა; სიტყვა გმირისა; პერსონაჟთა იერარქია – ასეთია თავების შედგენილობა. I. ქრისტიანული ხელოვნება, როგორც მეთოდი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავტორმა მეცნიერულად დაასაბუთა: ძველი ქართული პროზა ვერ გაიგება ქრისტიანული ესთეტიკის გარეშე. მან აჩვენა, რომ მხატვრული სახე აქ არ არის რეალობის ასლი, არამედ არის სულიერი რეალობის სიმბოლო. II. ობიექტური და ესთეტიკური სინამდვილის მიმართება. გრ. ფარულავა ნაშრომში სვამს ფუნდამენტურ კითხვას: როგორ გარდაიქმნება რეალური ისტორიული მოვლენა ხელოვნების ნიმუშად? მან გვაჩვენა, რომ ძველი ქართველი მწერალი ფაქტებს კი არ აღწერდა, არამედ მათ ინტერპრეტაციას ახდენდა. ეს არის პროცესი, სადაც „ისტორიული სიმართლე“ ადგილს უთმობს „ესთეტიკურ სიმართლეს“. III. შინაგანი ხილვა და სულის მოძრაობა. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ხედვა მხატვრულ ფანტაზიაზე. გრ. ფარულავას ანალიზის მიხედვით, ძველ მწერალს ჰქონდა ე.წ. „შინაგანი ხილვა“, რაც საშუალებას აძლევდა მას, დაენახა პერსონაჟის სულიერი ტრანსფორმაცია. მოქმედება (წამება, მოგზაურობა) მისთვის იყო არა ფიზიკური აქტი, არამედ „სულის მოძრაობის“ გარეგნული გამოვლინება. IV. სიტყვისა და იერარქიის ფენომენი. ავტორმა სიღრმისეულად გააანალიზა გმირის სიტყვა, ის, თუ როგორ მეტყველებს წმინდანი. ეს არ არის უბრალო დიალოგი, ეს არის პერსონაჟის სულიერი ავტოპორტრეტი. ამას ემატება პერსონაჟთა იერარქია, სადაც ყოველი ფიგურა თავის ადგილს იკავებს მთავარი გმირის (იდეალის) გარშემო.

დღეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ბატონ გრიველრზე, ვიხსენებთ მეცნიერს, რომელმაც გაათავისუფლა ძველი ქართული ლიტერატურა „მშრალი ისტორიზმისგან“. შემოიტანა ტექსტის ანალიზის ევროპული, ფენომენოლოგიური სტანდარტი; დაგვიტოვა მეთოდოლოგია, რომლითაც დღესაც ვხელმძღვანელობთ შუა საუკუნეების კულტურის კვლევისას.

This is a profound analysis of Griver Parulava's pioneering role in Georgian philology. You've perfectly captured how he shifted the paradigm from viewing ancient texts as mere historical archives to recognizing them as sophisticated artistic systems.

His work effectively "liberated" Old Georgian literature from a purely positivist approach. Here is a brief synthesis of the points you raised:

The Philosophical Shift: By treating him as a "philosopher of the text", you highlight that Parulava did not just look at what was written, but how the Christian worldview shaped the very structure of the narrative.

Aesthetic Autonomy: His 1980s research was revolutionary because it argued that hagiography has its own internal logic and artistic laws, independent of its value as a historical source.

The Two Realities: Your point on "Historical vs. Aesthetic Truth" is crucial. Parulava demonstrated that the hagiographer functions as an artist who filters "objective reality" through "spiritual vision", turning a biography into a symbolic icon in prose.

Griver Parulava revolutionized the study of Old Georgian literature by applying a phenomenological approach that treats spiritual "inner vision" and the saint's word as a "spiritual self-portrait". His work transformed hagiographical analysis from a historical focus to an examination of structural, aesthetic "soul movements" within a sacred character hierarchy. For more analysis of this methodology, explore the work conducted at the Shota Rustaveli Institute and Caucasus University.

ლელა ხაჩიძე
Lela Khachidze

საეტაპო ნაშრომი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ კვლევაში
A Landmark Work in the Study of David the Builder’s “The Hymns of Repentance”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State Univesity
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“, ლაურა გრიგოლაშვილი
Keywords: David the Builder, Hymns of Repentance, Laura Grigolashvili

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ საქართველოს უდიდესი მეფისა და წმინდანის აღსარებას წარმოადგენს, რომელშიც შეჯამებულია მის მიერ განვლილი გზა. საგალობლის ავტორი თავს იდებს ზოგადადამიანურ ცოდვებს, რომელთა რიცხვი ასზე მეტია. ამასთან ერთად, საგალობელი ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რომელშიც დაცულია სასულიერო მწერლობის ამ დარგისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებები.

„გალობანი სინანულისანს“ არაერთი მკვლევარი ჰყავს, რომელთა შორის გამორჩეულია ლაურა გრიგოლაშვილის ნაშრომები: საკანდიდატო დისერტაცია, ცალკეული გამოკვლევები და მონოგრაფია „დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, რომელიც ხანგრძლივი კვლევის წარმატებულ შედეგს წარმოადგენს.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია 11 ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ტექსტი, რომელსაც ერთვის კომენტარები და სიმფონია-ლექსიკონი. ტექსტი გამოქვეყნებულია რიტმულ-მელოდიური საზომების მიხედვით, რომელიც მკაცრადაა დაცული ჰიმნოგრაფიაში. ნაშრომში წარმოდგენილია ამ ვრცელი საგალობლის სახისმეტყველებითი ანალიზი, რაც თითოეული მხატვრული სახის წყაროს მოძიებასა და ინტერპრეტაციას გულისხმობს.

დავით აღმაშენებლის მსოფლმხედველობრივი კონცეფცია ეკლესიის მამათა მოძღვრების ლაკონური, არსებითი ანალიზითაა განსაზღვრული. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იოანე დამასკელის „გარდამოცემას“. „გალობანის“ მსოფლმხედველობრივი საკითხები ნაშრომში ხშირად „გარდამოცემასთან“ შედარების გზითაა განხილული და დაზუსტებული, რაც კარგ პრეცენდენტს ქმნის ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სხვა ძეგლების კვლევის თვალსაზრისითაც.

ლ. გრიგოლაშვილის მიერ შემოტანილია მნიშვნელოვანი სიახლე საგალობლის კვლევაში. ავტორი მიმართავს წარმატებულ ცდას რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ჩართვით „გალობანის“ კვლევაში. ამ ორი ძეგლის ერთიან კონტექსტში განხილვა ავტორს მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს. ირკვევა, რომ საგალობელში დავითის მიერ ცოდვათა ჩამოთვლა მიჰყვება „ძეგლისწერის“ თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნაწილის თხრობას, სადაც თითქმის იმავე ბიბლიურ ცოდვებზე იმავე თანმიმდევრობითაა საუბარი.

ავტორი საგანგებოდ განიხილავს ძველი ქართული მწერლობის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, როგორიცაა იოანე პეტრიწი,

რომლის თვალსაწიერიც ისევე უნივერსალურია, როგორც დავით აღმაშენებლისა. არაერთი საკითხი მოაზრებულია ანტიკური და ახალი დროის ფილოსოფიასთან კავშირში.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს „გალობანის“ განხილვა ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანთან“ შეპირისპირებით, რომელიც დავით აღმაშენებლის შთაგონების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო.

ნაშრომი ნიმუშია ფილოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ერთიანობისა.

David the Builder, the greatest King of Georgia and canonized saint, made a profound confession in his Hymns of Repentance, which reflects his spiritual path. In The Hymns, the author ascribes more than a hundred human vices to himself. At the same time, the composition stands as one of the finest examples of hymnography.

The Hymns of Repentance has been widely studied by a number of scholars, of which the works of Laura Grigolashvili are particularly significant. Her contribution includes a doctoral dissertation, several individual studies, and the monograph “David the Builder’s The Hymns of Repentance”, which is the outcome of many years of devoted research.

The monograph presents a critically established text based on eleven manuscripts, accompanied by commentaries and a symphonic glossary. The text is composed in accordance with the rhythmic-melodic meters strictly observed in hymnography. Additionally, the study provides analysis of this hymn, which implies search for the source of each literary image and interpretation.

David the Builder’s worldview is defined by analysis of the teachings of the Church Fathers. In this regard, John of Damascus’s The Fount of Knowledge holds a special place. The theological issues raised in The Hymns of Repentance are frequently discussed and clarified through comparison with The Fount of Knowledge in this work.

The author successfully attempts to analyze The Hymns of Repentance by including the unique Code of the Ruis-Urbnisi Council (1104). Examining these two monuments within a single context allows the author to draw important conclusions. It turns out that David’s enumeration of sins in The Hymns follows the narrative of the theological and philosophical part of the Code, where almost the same biblical sins are discussed in the same order.

Particular attention is devoted to a comparative analysis of The Hymns and Andrew of Crete’s Great Canon, one of the primary sources of inspiration for King David. Overall, the study exemplifies the integration of philological and literary approaches in scholarly research.